



3283/3-106/22 2 11042022



3283/3-106/22
11-04-2022

საქართველოს სახელმწიფო
უსაფრთხოების სამსახურის უფროსს
ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

ბატონო გრიგოლ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის კითხვით.

თვალნათელია, რომ წინა წლებთან შედარებით რუსეთის ფედერაციის დესტრუქციული ინტერესები ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ კვლავ გამოიკვეთა. გთხოვთ, გვაცნობოთ, რამდენად ხშირია აღნიშნულ (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში) რეგიონებში ადამინის უფლებათა დარღვევის ფაქტები და ძირითადად რა სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, ასევე თუ არის ცნობილი ადგილობრივი მოსახლეობის პოზიცია რუსეთის ექსპანსიურ პოლიტიკასთან მიმართებაში.

პატივისცემით

პარლამენტის წევრი
ვლადიმერ ჩაჩიბაია



საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის უფროსი
HEAD OF STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA



29/04/2022



SSG 0 22 00070769

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ ვლადიმერ ჩაჩიბაიას

ბატონო ვლადიმერ,

თქვენი 2022 წლის 11 აპრილის N 3283/3-106/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში განსაკუთრებით მწვავედ დგას ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებების დარღვევების ფაქტები. რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ძალები აქტიურად ახდენენ მათი ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას.

რუსეთის საოკუპაციო ძალების გადაწყვეტილებით, სხვადასხვა გზით, მუდმივად იზღუდება ადგილობრივთა თავისუფალი გადაადგილება. მათ შორის, საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებთა გადაადგილების თავისუფლება ე.წ. გადასასვლელი პუნქტების არსებობით არის შეზღუდული, ისინი, გარკვეული პერიოდულობით, საოკუპაციო ძალების მიერ, ცალმხრივად იკეტება, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, ფატალური შედეგების განმაპირობებელი ხდება. ცხინვალის რეგიონის მიმართულებით ე.წ. გადასასვლელი პუნქტები 2019 წლის სექტემბერიდან დაკეტილია, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა სრულად იზოლირებულია.

საოკუპაციო ძალა აქტიურად ახორციელებს ე.წ. ბორდერიზაციის პროცესს, რაც ახალი მავთულხლართების გავლებაში, ასევე ძველი მავთულხლართებისა და ლობეების განახლებაში, ე.წ. ხანძარსაწინააღმდეგო ხნულებისა და მიწათხრილების მოწყობაში, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერებისა და საგუმბაგოების უკანონოდ აღმართვაში გამოიხატება.

ხაზგასასმელია როგორც ოკუპირებულ რეგიონებში, ისე საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ, უკანონო ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის პარალელურად მიმდინარე უკანონო დაკავებების მავნე პრაქტიკა, რაც ადგილობრივი მცხოვრებლების ყოველდღიურობაზე უკიდურესად ნეგატიურად აისახება. ამ კონტექსტში, ნიშანდობლივია უკანონო პატიმრობაში მყოფთა გარდაცვალების ფაქტებიც.



თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვასთან ერთად, უკანონო დაკავებებისა და ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის მიზანს მოსახლეობაში დაუცველობის განცდის გაღვივება, სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია და საზოგადოებაში ნიჰილიზმის გავრცელება წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივებს უკანონოდ, მაქსიმალურად აქვთ შეზღუდული მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობა. ასევე, ეზღუდებათ საკუთრების უფლებები და რეგიონში დაბრუნების გამორიცხვის მიზნით, ხდება მათი სახლების განადგურება. გარდა ამისა, პერიოდულად, სხვადასხვა ფორმით აქტიურდება ე.წ. ისტორიული გვარისა და ეროვნების დაბრუნების მცდელობები, რომლის მიზანს ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების ასიმილაცია წარმოადგენს.

ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ფიქსირდება ანექსიური პროცესები. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო რეჟიმი ღიად უჭერს მხარს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შესვლას.

აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ რეგიონებში მიმდინარე პროცესები სრულად იმართება რუსეთის ფედერაციის მიერ, შესაბამისად, ოკუპირებულ რეგიონებში, ასევე, საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ დაფიქსირებულ დარღვევებსა და უკანონო ქმედებებზე სრული პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება. აღნიშნული ნათლად დადასტურდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილებით, რომელიც ხსენებულ ტერიტორიებზე ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ ძალად რუსეთის ფედერაციას განსაზღვრავს და იქ მომხდარ ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებზე პასუხისმგებლობას სწორედ მოსკოვს აკისრებს.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსი
გრიგოლ ლილუაშვილი

